



ჩრდილო-ატლანტიკის კაფშირის სარდლობა, თვით ამერიკული გაზეთების ცნობით, სასაცელო მდგომარეობაშია: 80-წერალ რიცხვების, ფელდმარშალ მონქომერისა და მარშალ უცხენს შორის მუდმივი უთანხმება და კინკლაობა.

თბილის წეურვილი დიდი აქცი და თოფის წამლის გარავა-  
მაგრამ გახაქანს არ აძლევთ კრილოვის იგავარაკი...

6 0 5 6 3 0

# წევნის მაჩქა თავდაცასაული

ამობენ, ინგლისელებს ახალი ამბები უყვართო. ეს, შეიძლება, ტყუილი არ იყოს, მაგრამ მართალია ისიც, რომ მათ ჰყვარებიათ ჩლუნგი ხუმრობაც. ჩვენ გვინდა მკითხველს მოვთხოვთ იმის შესახებ, თუ როგორ მიიყვანა ახალი ამბით გატაცებამ ჩლუნგ ხუმრობამდე ერთი პატივცემული ინგლისური ფირმა, რომელსაც „ინტელიენს სერვისის“ წაქეზება და მფარველობა არც ისე აკლია.

ამ ამბის სათავე საქართველოში ჩაის კრეფის მექანიზაციის საკითხში გახლავთ. რაკი სიტყვამ მოიტანა, ჯერ ის გავითხვენთ, თუ რა „მაღალი“ აზრისა ბრძანდებინ ინგლისელი ჯენტლმენები საქართველოში ჩაის კულტურის განვითარების შესახებ.

ქართველ მეჩაიებს ახსოვთ ერთი ინგლისელი „ექსპერტი“, ვინმე მეცნიერებათა ღოქტორი პაროლდ მანნი, რომელმაც მაღალთარდოვანი ავტორიტეტულობით განაცხადა: „დასავლეთ საქართველოში ჩაის მოყვანა — შავ ზღვაში ოქროს ზოდების ჩაყრას ნიშნავსო“.

სხვა „წინასწარმეტყველებათა“ შორის, ამ „საზღვარგარეთულმა“ ექსპერტმა წერილობითაც კი გადაჭრით განაცხადა: ჩაის ფოთლის კრეფის მექანიზაცია ჩვეულებრივ შეუძლებელი წამოწყებაა. ამიტომ თუ იყო, რომ საბჭოთა კონსტრუქტორების მიერ ჩაის საკრეფი მანქანის შექმნის ყოველი ცდა საზღვარგარეთ ღიმილს იწვევდა. ყველაზე მეტად კი — ის ინგლისელი ჯენტლმენები ხითხითებდნენ, რომელნიც გაფარიცებით უთვალთვალებდნენ საბჭოთა კონსტრუქტორების გამოგონებებს, ვინძლო რამე ავწაპნოთ ამ დარგშიო. აბა, რა? ტყუილად ხომ არ ყნოსავდნენ ისინი შავი ზღვის პირად მწვანე ოქროს ზოდების სუნს?


შაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენში ჩაის კრეფის შექანიზაციის საკითხს.

ჩვენი კონსტრუქტორების შემოქმედებითი ცდები ამ დარღვეული ბეჭითად გრძელდებოდა. თბილისში, არსენალის მთაზე, სამსართულიან დიდ სახლში მკვიდრად მოთავსდა საბჭოთა კავშირის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს საკონსტრუქტორო ბიურო. აქ, უახლესი პროექტების ავტორები, ინჟინერ-კონსტრუქტორები, აგრონომები და მექანიკები ბეჭითად მუშაობდნენ ჩაის საკრეფი მანქანის შესაქმნელად და ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი შალვა კერესელიძე გულდადებით ხელმძღვანელობდა ამ შემოქმედებითი მუშაობას.

აქ უკვე იბადებოდა რთული და ჰქვიანი მანქანა, რომელიც მწვანე ბუჩქზე, სამ-ოთხ ათას ჩაის ფოთლოს შორის, ამოარჩევდა ვერცხლოვანი ბუსუსით დაფარულ დუდ ფოთლოს და მოსწყვეტდა მას, როგორც ამას ჩვენი სახელოვანი ჩაის მკრეფავები აკეთებენ.

და, იმ, უცებ ლონდონმა ქვეყანას დეპუშები დაუკრა: ევრიკა, ჩაის საკრეფი მანქანა გამოგონილია, მობრძანდით, ოქროს ზოდები მოამზადეთო.

ვინმე სერ ტარპენის ფირმა დაწვრილებით მისამართსაც კი იწერებოდა: „სამხრეთ-დასავლეთი ლონდონი, იქსუორტის მოედანი“, არ შეგებალოთ, სხვას არ მიმართოთ. ამასთანავე ფირმა აცხადებდა, რომ ის „მზად არის მიიღოს დაკვეთები, სასურველია ბითუმად — ჩაის მექანიკური მკრეფავი მანქანების დასამზადებლად“. არც იმს განცხადება იყო დაგიწყებული, რომ თითქოს აღნიშნული „ჩაის მკრეფავის“ ცდები ჩატარებულია ქვეყნიერების სხვადასხვა ნაწილში.





ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის შალვა კერესელიძის და კონსტრუქტორთა ჯგუფის შიერ ას-ლად აგებული ჩაის მკრეფავი მანქანა, რომელმაც სახელმწიფო გამოცდა უკვე ჩააბარა და ჩვენს სახელიან სტანდარებთან ერთად შეუდგა ჩაის კრეფის გეგმის გადაჭარბებით შესრულებას...



## ეკანას ცელი ჩავალება

ტრიუგვი ლის სპეციალურმა  
მრჩეველმა ა. ფელერმა თავი  
მოკლა.



იგი, თურმე, ინგლისურ ცხრა გირვანქას იშონის და წა-  
აგავს პატარა სათაბა. ამასთანავე, ეს მკეფავი მანქანა ისე-  
თი აღვილი და სახერხო მოსახმარი ყოფილი, რომ კაცი  
სულ აღვილად შეუძლია ასწიოს ჩაის ყლორტების დონემდე,  
ჩაურთოს ელექტროძრავი და მორჩა, მისი აპარატი კრეპს და  
ნელად მზრუნვავი ფრთებით აწვდის და აწვდის კალათს მწვანე  
ფოთოლს.

ისე გამოდიოდა, რომ... არც მეტი, არც ნაკლები, ეს  
„მკეფავი“ სწორედ ზედამოტკრილი უნდა ყოფილიყო საქარ-  
თველოს მწვანედ მობიძინე ჩაის პლანტაციებისათვისაც.

კო, მართალა, დანარჩენი „წვრილმანი“, ესე იგი, ცველა-  
ჟე მთავარი — მანქანის აღწერილობა, ფირმას „დავიწყდა“,  
ალბათ, შეეშინდა — გამოგონების საიდუმლოება არაერთ მოგვ-  
ვაროს.

ხედავთ საოცრებას: ინგლისელები გადაჭრით უარყოფ-  
ნენ ჩაის მექანიკური საქრეფის შექმნას იდეასაც, ახლა კი  
თვითონვე ენერგებოდნენ ქვეყნიერებას — ჩერტა მოგვაშეელეთ  
დაკვეთებით. მოდი და ულვაშებში ნუ ჩაელიმებოდათ თბი-  
ლისში, არსენალის მთაზე მომუშავე კონსტრუქტორთა ბიუ-  
როშიც! მაგრამ ასე იყო თუ ისე, ზემოაღნიშული „გამო-  
გონება“ ჩვენშიც ყურადღების ღირსაც ჩათვალეს და ფირმას  
მისითხვეს ეგრეთ წოდებული პროსპექტები: გაგვაცანით,  
ეგებ მართლა ლირდეს მისი დაკვეთაო.

როგორც რეკლამის ნაქება ასტატებმა, ინგლისელებმა  
ჭამითაც არ დააყოვნეს „პროსპექტების“ გამოგზავნა.

და როცა ლონდონიური პაკეტიდან ამოდებულ მშენი-  
ერ, ცალკის ქალალდჲე გადაღებულ ფოტოილუსტრაციებს  
დახედეს, იქიდან მორცხვად გადმოიხედა... ჩვენი კონსტრუქ-  
ტორების შეირ დიდი ხნის წინათ გამოგონებულმა და ამ  
ჩვიდებით წლის წინათ გადაჭრით დაწუნებულმა ჩაის საქ-  
რეფმა მანქანამ „ლიდამ“, რომლის ნახატებიც და ნახაზებიც  
კარგა ხანია ინახება თბილისისა და მოსკოვის არქივებში.

„ლიდას“ კონფუზი მკიოხველსაც აღვილად შეუძლია  
ჭარმოიდგინოს: ეს ჩვენებული მანქანა დაწუნებული იყო იმის  
გამო, რომ მას არ შეეძლო ჩაის ხშირ, მწვანე ფოთლებში  
მოენახა ნამდვილად მოსაწყვეტი ღუყი და ჩაის ბუჩქს მიყო-  
ლებით კრეჭდა, როგორც გაზონის ყლორტებს.

თურმე ნუ იტყვით, ეს ბედგაულიმარი „ლიდა“ იმდენად  
უმნიშველოდ ყოფილა ცნობილი, რომ მისი ნახაზების ინ-  
გლისური ხერხებით ხელში ჩაგდება მოუხერხებიათ „ტარპე-  
ნის“ ფირმის ქურდებს და ნაქურდალის გასაღებისათვის  
წელებზე ფეხს იდგამდინენ. მაგრამ უტიფრობა კიდევ ის იყო,  
რომ მათ სცადეს ჩვენთვისაც კი შემოეჩერებინათ იგი.

ეტყობა, ლონდონის ნისლი საქმარისი არ აღმოჩნდა ამ  
„პატარა“ საიდუმლოების დასაფარავად.

ჭარმოგიდგინიათ სანამდე გალატაკებულა ინგლისელთა  
აზროვნება ტექნიკის დარგში, რომ ისინი ჩვენებური მამლის  
ქურდის მდგომარეობაში აღმოჩნდნენ!

მეტი რომ არ ვთქვათ, ტარპენის ფირმამ ამით ერთხელ  
კიდევ გამოამეულავნა „ინტელიენს“ სერვისელების „ინგლისური  
ბლაგვი ხუმრობა. ლირს ამაზე გაცინება მოცულილ დროს.  
მაგრამ ეს სხვათა შორის.


თბილისში, არსენალის მთაზე კი უკვე შეიქმნა ჩაის მე-  
ქანიკური საქრეფი და, შაშინ, როცა ტარპენის ფირმა, ალ-  
ბათ, ჩვენგანაც „ბითუმ“ დაკვეთებს მოელოდა, ეს ჰევიანი  
მანქანა, ჩინელი მეგობრების თანადასწრებით უკვე გამოცდას  
იქერდა დასავლეთ საქართველოს მწვანედ მობიბინე ჩაის პლან-  
ტაციებში. იგი მწყობრად დაგოვმანობს ხავერდოვან ჩაის მუხებში,  
ელასტიკური არტინის თითებით არჩევს, ჰერეფს  
და ბუჩქერს აწვდის პირველხარისხოვან ჩაის ღუყს, ხოლო  
დანარჩენ ფოთლებს ქოჩოგადავარცხნით სტოვებს ბუჩქებზე.

ეს ის მანქანაა, რომელიც ადამიანივით არჩევს მოსაქ-  
რეფი ყლორტის წვერებს და ჯერჯერობით 30 კაცსა სცელის.

შეგვიძლია ჭარმოგიდგინოთ, თუ როგორ ლახვრად მო-  
ხდება ეს ამავი ტარპენელებს — ლონდონში, იქსურტის  
მოედანზე.

შალვა კერესელიძეს, როგორც გულისხმიერ ქართველ  
კანსტრუქტორს, ერთიან დარჩენია: მან როგორმე, შოცული  
დროს, უნდა აცნობოს ჩვენი „ლიდას“ ქურდებს, რომ ნუ  
გაირჯებიან ჯერტლმენები, ნაქურდალის გამსაღებლად ჩვენ  
ვერ გამოვადგებით, მომავალშიც ამაოდ ნულარ დაშერებიან  
ჩილუნგი ხუმრობით.

# “სოციუმის დრამები”



ეს მოხდა ლამის 1 საათზე: ჩაბნელებული ოთახის შიწა-  
მდე დასული კარები გაიღო, რომლის ჭრიალმა მყუდროება და-  
არღვია. სტუმრებმა, რომელთაც ის-ის იყო ჩათვლიმება, ხმაურე  
უურები ცეკვიტეს და მიაჩერდნენ ერთადერთ კარებს, საიდანაც  
ვილაცის აჩრდილი შემოიწია. მათ არ ესიამოგნათ „მოულოდ-  
ნელი სტუმრს“ მოსვლა, რადგან ამან კიდევ ერთხელ გამო-  
ალების საძილება გამზადებული მობინადრენი. ჯერ იყო და  
სასტუმროს სიახლოვეს მდებარე ელსადგურის მოტორების ხმა-  
ურმა, რომელიც წინააღმდეგ ფიზიკის კანონისა, სინათლეზე  
აღრე შემოვარდებოდა სასტუმროში (ალბათ, ელმებანქანეთა  
დაუდევრობისა გამო), შემდეგ კი გაუბედავად სინათლეც შე-  
მოპყვებოდა, არ დააძინა სტუმრები.

ხმაურები ფანჯრის სიახლოვეს მწოლმა სტუმარმა ასან-  
თი გაჰკრა და ნათლად დავინახეთ, რომ საწოლისკენ ბორ-  
ძიებით მიდიოდა მილიციელის ფორმაში გამოწყობილი გა-  
დალი ტანის კაცი. ის ზომაზე შეტაც იყო მთვრალი,  
ცხვირი გაწითლებოდა და ლოყებზე აღმური ასდიოდა... იგი  
მიბარბაცდა საწოლთან, მოქრიოლ ხესავით დაეცა ლოგინზე  
ტანთვაუნდელი და სასწრაფოდ ხერინვა ამოუშვა.

— ვინ არის ეს კაცი? — შემქრთალი ხმით წამოიძახა  
ერთმა.

— დაუპატიუებელი სტუმარი. — მშვიდად მიუგო თბილი-  
სელმა სტუმარმა.

ოთახში სიწყნარე ჩამოვარდა... შუალამე გადასული იქ-  
ნებოდა, როცა ბოდა და ყვირილი მოგვესმა: „შეაჩერე! ვი-  
სია მანქანა... შენ, ჩემი ძმით, წესიერიდა ატარე...“

ეს ხმა მილიციელის საწოლიდან მოისმოდა.

მთელი ლამის განმავლობაში ამ აბეზარი მეზობლის უაზ-  
რო წამოძახილებისა და რწყილების ინიბაზობის გამო არ გვი-  
ნებია.

ალიონზე სტუმრები გამოაღვიძა სასტუმროს წინ ბორები  
მოთაესებულმა რადიომ, რომელიც მშვიდობის დილას გვისურ-  
ვებდა. უნებლიერ გადავხედე მილიციელს, რომელიც უკვე ამდ-  
გარიყო და წასასვლელად ემზადებოდა. ჩვენც მიებაძეთ მის მა-  
გალითს. უცებ შევნიშნეთ, რომ მტვრისგან გაშავებულ ფან-  
ჯრებიდან ვიღაც დროვამშევებით შემოიხდავდა ხოლმე. რო-  
ცა სტუმრები ამდგარნი დავინახა, გამოალო კარები და ოთახ-  
ში შემოვიდა შავებით მოსილი დაბალი ტანის ქალი. ეს ყო-  
ფილა სასტუმროს უფროსი.

— ბოლოს და ბოლოს სანაბრივის უნდა გიცადოთ სტუმრები  
მა მასინძელს? — წყენანარევი ხუმრობით მიმართა მას თბი-  
ლისელმა სტუმარმა. — სანამდის უნდა ვაწუხოთ უცხო პირები?

— რატომ უცხო, ჩემი ფიზიულტურელები არიან. —  
თქვა დიასახლისმა. — მე მათ ვთხოვე სტუმრებს მიაწოდონ  
გასალები. ისნი სულ აქ არიან, მათი დახმარებით მე აბანო-  
საც ეხელმძღვანელობ, სადაც შეთავესებით ვმუშაობ...

სასტუმროს დიასახლისმა უცებ შეწყვიტა ჩვენთან საუბა-  
რი და მიუბრუნდა მილიციელს, რომელიც წასასვლელად ემზა-  
დებოდა და მოაგონა სასტუმროს ქირის გადახდა. მან კი რა-  
ღებიდან გავიდა...

შე ამ დროს მოვასწარი თოახის ყურადღებით დათვალი-  
ერება. შევამჩნიერ, რომ ყველაფერს აკლდა მშრუნველი ხელი,  
ამიტომ ჩვეულებრივ საგნებს მტვრისაგან სისქე მომატე-  
ბოდა. აი, რა იყო ეს ყველაფერი: 4 საწოლი, ერთი ტაშტი,  
წყლით სავსე თითქოს ხანდარსაჭინააღმდეგი საშუალება იყო-  
სო (პირსაბანი სასტუმროს არ გააჩნია და სტუმრები პირს  
ერთმანეთის დახმარებით იბანენ), ფანერადახურული, მღვრივ  
წყლით სავსე ქასრი, 1 დანჯლრეული სკამი, 1 მაგიდა, წიგნე  
ბისათვის განკუთვნილი თახო და კედლის ერთ მხარეზე, შე-  
დარებით სინათლიან აღილას ჩამოკიდებული ელამი სარკე.  
ასეთმა ღარიბულმა მოწყობილობამ დიდად გამავირვა.

სუბბრის დროს სასტუმროს დიასახლისმა პორტფელიდან  
ამოილო ფანქარი და ერთ ნაგლეჯ ქაღლდზე რუსულად დი-  
დი ასოებით დააწერა: „ზანიტ“ და ჩემს ლოგინზე დადო.

— „ზანიტ“ რაღა? — ვკითხე შე.

მას ჩემს კითხვაზე გაეცინა და გამხიარულებულმა მომ-  
მართა:

— საპატიო სტუმრების ლოგინი რომ არავინ დაიკავოს,  
ამ ჭარწერას დავდებ, თორემ, გუშინწინდელისა არ იყოს,  
ხშირად ერთ ლოგინს — ათი კაცი ეპატრონება.

ქვითრისადწერის დროს გვითხე: (ქვითარს თვით სტუმრები  
ჭერენ, რადგან სასტუმროს დიასახლისა არ ეხერხება).

— როგორი ქმაყოფილი არიან თქვენი მასპინძლობით?

— გააჩნია ვინ არის: თქვენ უქმაყოფილო იქნებით, —  
მომმართა დამაჯერებელი ტონით, — მაგრამ, რას იზამთ? მე  
მყვანან მეტაც კმაყოფილი სტუმრებიც...

— ვინ არის ასეთი?

— მაგალითად, აი, თქვენი მეზობელი მილიციელი.

მილიციელის ხსნებაზე უძილოდ გატარებული ლამე მო-  
მაგონდა და ხელახლა შემიპყრო მოგონებით გამოწვეულმა  
უსიამოვნო განცდამ.


— ის მილიციელი 7 დღეა აქ ათეს ღამეს, მაგრამ არც  
ფულს მაძლევს და არც საბუთს ტოვებს. ცხოვრობს არხეინად.  
რამდენჯერმე მიემართე, მაგრამ ყოველთვის სიცილით მეუბ-  
ნება: თუ უქმაყოფილო ხართ, გთხოვთ მიჩივლოთ მილიციაშიო.

სასტუმროს ეს ახირებული კლიენტი გახლავთ მილიციელის  
კაპიტანი ვინმე ჩერეკში, რომელიც თავის თავს ისე ამაღლის  
მთელ რაონს, რომ არამცთუ სასტუმროს ფულს, არამედ სას-  
მელ-საჭმელშიაც შაურს არ იხდის.

ზემოაღწერილი ამბები მარნეულის სასტუმროში ხშირად  
მეორდება, ისე ხშირად, რომ არაიამასკომის თავმჯდომარეს,  
უქმაყოფილო სტუმრებმა, თავიანთ შენიშვნებითა და წინადა-  
დებებით თავი მოაბეჭრეს. აღილობრივი ხელმძღვანელობა  
თავს იმართლებს: მართალია, მარნეულში სასტუმრო არაა ქე-  
თილმოწყობილი, მიწურსა გაეს, მაგრამ რა ჩენი ბრალია...

ჯიუტი სტუმრები მაინც სტუმრობას არ იშლიან, ხშირად  
ჩაღიან მარნეულში და ხშირ-ხშირად კითხულობენ: ვისი ბრა-  
ლია, რომ მარნეულს აქამდე სასტუმრო არ გააჩნია?

ს ფურცელი



# საქართველოს გაუგზავნილი წერილები

კარდანახში, ამ გახურებული მაჭრობის დროს, ზოგი-ერთი ამხანაგი გახურებული მუშაობს და დიდი ხნის დაკი-წყებულ საქმეებსაც იგონებს. იგონებს და „აჩქარებს“ მათ, ფურიმასა და მსელელობას იძლევს, რომ მუშაობა „აუზრში“ მოიყვანოს.

ეს სტილი განსაკუთრებით ახასიათებს კარდანახშის ფინ-ინსპექტორს ასანიშვილს. მან თავისი მაგიდის უჯრა გამოალო და ძეველ საგადასახადო ქვითრებში 1949 წელში დაწერილი განცხადებით იპოვა, გადაატრიალ-გადმოატრიალა, თარი-ლებს ხელმეორედ დახედა, თვალები მოიფშვნიტა და ხელი მუხლზე დაირტყა.

— უკანონობა... უსულგულო დამოკიდებულება... ერთი დახედეთ როგორი მუდარით შემომცერიან სამი წლის წინათ დაწერილი განცხადებები! რაღა პირით უნდა შევხვდე ახლა ამ ხალხს?

ასანიშვილმა თავი გაიქნ-გამოიქნია და გვარები ჩამარ-ცვლით ჩაიკითხა:

— გ. ბედენაშვილი, ც. ტაბახმელაშვილი, გ. გელიაშვი-ლი, ა. ქიტიაშვილი... ამ ხალხს გადასახადი შეცდომითა აქვს შეწერილი, არ ეკუთვნოდათ დაბეგვრა, თავი მომიკვდეს, თუ ჩეენი კარდანახელი ბიჭები ვისმეს დავაჩაგვრინო.

და ასანიშვილმა გურჯაანის ფინგანის სახელზე „მაგარი“ მიმართვა გააჩანადა: „აქ მოხსენებულ პირებს შეცდომით შე-წერის გამო, ჩამოეწეროს უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთათვის განკუთვნილი 1949 წლის გადასახადი“. და ჯერ კიდევ მელანი. არ ქონდა შემშრალი, რომ ასანიშვილმა მიმართვა გურჯაანის ფინგანს გადაუგზავნა.

ფინგანში შერილი ახლა რომელილაც განყოფილების უჯრაში მოხვდა, იქ მტვერსა და აბლაბულებში ერთი წლის სტაჟი დაიმსახურა და 1952 წელს კვლავ იხილა სინათლე. ის უჯრიდან ამოილეს, მტვრის ტილოთი კარგად გაწმინდეს, იძიეს, იჩიქოლეს, როგორც წესი, ასეთი შემთხვევისათვის მოიგანი დატუქსეს და 1952 წელს კარდანახში ზემოთ ჩამო-მდინარე პირებს სასიხარულო წერილი გაუგზავნეს:

„ჩამოგეწერათ უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირე თვა-ხახიან მოქალაქეთა გადასახადი—შეცდომით გაწერის გამო“. თვა-ხახიან ფინგანში დამტარებელმა დიღხანს ეძება ადრესატები:

ფოსტის დამტარებელმა დიღხანს ეძება ატარა, შემდეგ მათი სასიხარულო წერილები ჯერ უბან-უბან ატარა, შემდეგ ეზო-ეზო ჩამოიქითხა, მაგრამ მაინც ვერ იპოვა ისინი: ზოგბა უთხრა—ასეთები იქ აღარ ცხოვრობენ, ზოგმა ზეცისაკენ მიუთითა—იქ გადასახლდნენ და სასაფლაოსკენ ანიშნა თვა-ლით. ბოლოს, როგორც იყო, გაიგო მათი სამყოფელი იდგი-ლი და ასანიშვილს სახლში ეახლა.

— რა ქენი, ჩაბარე ხელზე?—კარებში გამოჩენისთანავე ჰქითხა მას ასანიშვილმა.

— გისა, კაცო?

— გისა და ბედენაშვილს, ტაბახმელაშვილს, ელიაშვილსა და სხვებს... რას მიშვრები, ხომ არ აგვიანებ, ძმაო? ხომ იცი, რომ საჩივარზე არადროსული პასუხის გაცემა დანაშაულია!

— იმიტომ დავაგვიანე, რომ იქ ფოსტა არ მუშაობს.

— რა ფოსტა, კაცო, მაშ შენ სად მუშაობ?

— კარდანახის ფოსტაში.

— ის წერილები კი ზაქათალაში იყო წასაღები თუ?— ხმას აუწია ასანიშვილმა.

— ზაქათალაში კი არა, საიქიოში.

— საიქიოში რა უნდა, კაცო?

— ის უნდა, რომ გ. ბედენაშვილი და ც. ტაბახმელა-შეილი 1949 წელს გარდაცვლილან, მწვანე ბალახი ვნახე მათ საფლავზე, მერე სახლშიც მივედი და საუკუნო მოსავონარი დამალევინეს. არც გ. ელიაშვილია ჩემთვის მისაგნებ ადგილას... პოდა, შე კაი კაცო, ამ წერილშვილის პატრონ კაცს საიქიოში რაზე მისტუმრებდი?

დაწერა გაუგრებით კარებით გამოიჯახუნა, ხოლო ასანიშვილმა დამორცხვებით ჩაიდუღუნა: „სირცხვილია“. არა, მარტო სირცხვილი კი არა, დანაშაულია.


## ნუნის თვალით



კულტურისა და დასევნების ბალი (თბილისი, ღრმა-ლელე). საახალ წლო ბურვაკები მა-ციონზე. ამ სურათიდანაც ნათლად ჩანს, თუ ჩოგორ კოლეგიალურად მუშაობენ დირექტორი და დირექტორის მოადგილე: ერთი ბურგაკი დირექტორისა, მეორე — დირექტორის მოადგილისა.



ჭალება. ამ ჭენობაშია მოთავსებული რაი-ონის კლუბი და ბიბლიოთეკა. ჭენობაშ. როგორც ხედავთ, ვერც ქარს გაუძლო და ვერც თვით კრიტიკას.



— რაშია საქმე, ძია პავლე (დარსაველიდე), ზაფხულის შემდეგ აღარც რადიო გვაქვს და აღარც სინათლე... რა იქნება, რომ უურად იღოთ ჩენი კულტურული მოთხოვნილება?

— დაიცადეთ ისევ გაჭაფხულდება, მოაგარაკები ჩამოვლენ, ჩამოვლენ მწერლები და კულტურული თავზე საყრდენი გექნებათ, რადიოც და ელექტრონიათლეცი.. მანამდე კი სოფლის სამუშაოს მიხედვეთ...

## რომა თავაჯღოურა მასაინდობას

აგარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე წრიიაული მორიგ სადლეგრძელოს ამბობდა, როცა სუფრაზე შემწევარი გორე შამფურიინად შემოტეანეს...

უკაცრავად, სანამ გორე გაცივდებოდეს, პატარა გეოგრაფიული განმრტება: აქ ნახენები აგარი ის აგარა კი არ გახლავთ, ქარელის რაიონში რომ შედის და ჩენი ქვეყნას შაქარს აწვდის, არა, ეს ახალციხის რაიონში შემავალი სოფელი აგარაა, სადაც კოლმეურნეობას ყავს გამხსდარი პირუტკე და მსუქანი თავმჯდომარე.

დღას... შამფურიან გორეს დავუბრუნდეთ: კორეად დაბრაწულს ქონი წევ-თებათ ჩამოიძიოდა.

— კარგად მოვლილი ჩანს, კოლმეურნეობიდან წამოიყვანდი.

— რას ამბობ, კოლმეურნეობაში ვინ მოუვლიდა? პირუტკე უბინაობით გვეღლება, — განუმრტა მასპინძელმა თავმჯდომარემ, — აი, ზამთარი მოლის და საქონლის თავშესაფარი არა გვაქვს, ლორებს — კამერებთან ერთად ვამწყვდევთ,

ცხვარი — ცხენების თავლაში გვყავს...

— კი მაგრამ ამ სამი წლის წერთა ახალი თავლისა და ბოსტონის შექნეობისა ხომ დაიწყოთ?

— დამთავრება — დამთავრება ხომ არ არის?

— დამთავრებდით, შე კა კაცო, მისალა ხომ გამოყო გამგებამ; თანხა ხომ გადადა, ვერ აითვისეთ?

ჩენი არ ვიცით, რა უპასუხა თავმჯდომარემ ცნობისმოყვარე სტუმარს, ბაგრამ ის კი ცხადია, რომ სამი წლის წინათ დაწყებული თავლა-ბოსლების მშენებლობა კოლმეურნეობაში დაივიწყეს, თანხა აითვისეს თუ მითვისეს — აღარ არის, საქონლიო ორჯერ ცის ქვეშ გამოაზამთრებს და მესამე ზამთარსაც მოუმშადებელი ხელგბიან.

ან-კი ვინ მთამზადებს პირუტკის საზამთრო ბინებს, როცა კოლმეურნეობის თავმჯდომარე მასპინძლობს? სტუმრებს თავს ხომ არ მიანებებს? გორე გაცივდება.

გვევთილი

## რა სურათი გვიჩენები დღეს?

— „რაიკომის მდივანს“.

— სად გინდათ უჩენოთ?

— საწყობში.

— ესე იგი გასაწყობებულ კლუბში? ეს უხერხულია!

— აბა, რა ვენათ, ჩემო კარგი, თუ კლუბის შენობა ჩენი კოლმეურნეობის თავმჯდომარემ საწყობებულ გადააქცია, კულტურულიანის ხომ ვერ შეეწყვეტი?

— იქ ხომ გუთხები და ქარები აწყვია, ეკრანს სად გამართავთ?

— აი, იმ კუთხში, სადაც წინათ სცენა იყო.

— ეგ შეუძლებელია, სცენა ინკუბატორში გამოიჩინილ წიწილებს უკავიათ, ხომ არ დაჩაგრავთ, ისედაც ობლები არიან.

— მაში მეორე კუთხში გავმართავთ.

— არც იქ შეიძლება. იმ კუთხში

ცხვენების მოსართავები და ცალულები აწყვია, ხელს ვერ ვახლებოთ.

— მესამე კუთხი ხომ შეიძლება?

— მესამე სრულებითაც არ შეიძლება, იქ მთელი წლის მოსავალი პური ყრია, ახლა კვახებიც იქ უნდა დავწყოთ...

— მაშ რა ვენათ?

— რაც გინდოდეთ, ოლონდ საკოლმეურნეო საწყობს ნუ შეებით.

ასეთი შეჯახებები ხშირად ხდება ხოლმე კიათურის რაიონში შემავლი მოწინავე სოფლის ითხეისის კოლმეურნეობის დარაჯსა და კულტურული შორის, ასაც შედეგად ის მოსდევს, რომ ისინი ერთმანეთი მუშტებსაც კი უჩენებენ, მაგრამ მოსახლეობას კი აღარც კიონსურათებს და, საერთოდ, რამე კულტურულ გასართობსაც აღარც უჩენებენ.

კობაზიძე

## „სასწრაულ დახმარებას“ სასწრაულ დახმარება

ერთი წელია, რაც საბჭოს ქუჩაზე „სასწრაულ დახმარების“ პუნქტი გახსნეს. ისე, სიტყვით თუ ითქმის „გახ-სნა“, თორებ ის გახსნის დღიდანვე და-კეტილზე უარეს დღეშია. შენობას, სა-დაც „სასწრაულ დახმარება“ მოათავსეს, თითქმის არ გააჩნია სახურავი, კედ-ლები დახეოჭილია და ყოველ წერთში მზადა დასანგრევად. პუნქტს ამჟამად ძირებული დახმარების მედიკამენტებიც არ მოეპინება, რადგან მათი იქ შენავა შეუძლებელია, ეშინიათ, ვაითუ სა-ხურავიდან ჩამოსულმა ნიაღვარშა გაი-რეცხოს.

პუნქტის გახსნის დღიდანვე გაჩაღდა წერილებისა და თხოვების გზავნა ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებაში: დაგვეხმარეთ, შენობა მოგვიწყეთ, მაგრამ აურისმგდებელი არავინ გამოჩნდა.

დროი, ვისაც ეს ეხება მოხედოს ამ შენობას, კიდრე ჩენი უბინი უბინის „სასწრაულ დახმარებაში გომუშავე პერსონალს სასწრაულ დახმარება დასკირდებულის.

5. სალაუნიდე

## დაბუჭო-ზარუტუ აზამიანები

გასოფარ ამბავს გვატყობინებენ თბილისის ერთ-ერთი სამკერვალოს მუშა-მოსამსახურეები და მოსწავლეები:

„1952 წლის 28 ოქტომბერს, დღის 12 საათსა და 40 წუთები, შემოვიდა ჩვენს სახელოსნოში უცნობი მოქალაქე და წინადაღება მოვცა სახელოსნო გაგეოთავისუფლებია იმ მოწინაშებული რომ მას აღნიშნული სახელოსნო უნდა დაებეჭდა. უცნობ მოქალაქეს, რომელიც თავს რევიზორ-ბუხჰალტრად გვაცნობდა, ჩვენთვის არ წარმოუდგენია არავითარი საბუთი, რომ მას დავალებული ჰქონდა ჩვენთან რევიზიის ჩატარება და არც არავინ ხლებია ჩვენი დირექციის წარმომადგენელი. ამიტომ ჩვენ მისა უკანონო წინადაღება არ უვასრულეთ და მუშაობა არ შეგვიწყვეტია, არ (საამქროდან გავსულვართ. გაბრა-ზებულმა მოქალაქემ, (როგორც შემდეგ გამოირკვა ტაბატაძე) თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და დაგვიწყო ლანძლება-გინება, გვიშოდა „ყალთაბანდები“ და სხვა ასეთი უმსგავსო სახელები. ბოლოს მუქარით მოვიხურა სახელოსნოს კარები, ჩაგვერა და ასე დალუქეულ-დაბეჭდილი დაგვტოვა.

ჩვენმა ამგვარმა დაპატიმრებამ აღშფოთება და არევ-და-რევა გამოიწვია ირგვლივ. სახელოსნოს წინ შეგროვდნენ გამვრევა-გამომვლელები, გვერდით მომუშავე სახელოსნოს და მალე-გამომვლელები, გვერდით მომუშავე სახელოსნოს და მალე-გამომვლელები... მალე უწესობა იმდენად თვალსაჩინო შეიქმნა და, რომ საქმეში მილიციაც ჩაერია. ჩვენს „საპატიმროს“ ხალხი მაინც ვერ მოაცილეს. მხოლოდ ერთი საათისა და ოცი წუთის პატიმრობის შემდეგ, რაიონის მილიციის უფროსის დაბუჭული მარებით სამინისტროდან ძალით დააბრუნეს განაწყენებული რევიზორი და პატიმრობილი გაგუათავისუფლება...

რა უნდა ვუწოდოთ მოქალაქე ტაბატაძის საქციელს, როგორ უნდა შეფასდეს ყოველივე ეს? გთხოვთ თქვენ მაინც გვი- პასუხოთ, პატივცემულო ნიანგო, ვინაიდან ჩვენი უფროსები სათანადო პასუხს ამ კითხვაზე ჯერჯერობით არ გვძლევინ... საქ. ხოც. უზრ. სამინისტროს სახწავლო-ხაწარმო კომბინატოს თბილისის ინდ. ტანსაცმელების სამკერვალო ხამერი № 1. მუშა-მოხამახურები და მოწავლეები. (წერილ ჩელ აწერს თოთხმების კაცი).

ნიანგს არ შეუძლია არ გამოაქვეყნოს თავის ფურცლებზე, მართლაც გაუგონარი შემთხვევა. და ეს, ჩვენთან ერთად ჩვენმა გაკვირვებულმა მეითხელებმაც გაიგონ—რას გვიპასუხებს პატივცემული მოქალაქე, რევიზორ-ბუხჰალტერი ტაბატაძე.



— მიკვირბ, თქვენგა კოშიბია?  
როგორ გამომაკვლია:  
ხელს რით ვუწეობ ხელოვნებას,  
თუ კულტურა მაკლა?

გაგონელა თაგმჯდომარის  
შემოწმება ასეთი,

კინ გვაკლდა, გუნდი გვაკლდა.  
ჩინგური თუ გაზეთი?  
ერთხელ მაინც რად არ შეითხო,  
კაცი ვარ თუ გუდურა?  
რად მომხენით..

— შეგონარო.

გაკლდა ჩაის კულტურა?

დღლ-II-ოდილავაძე



ნაბ. 2. აბაშიძეა

რედაქტორი კარლ კალაძე. სარედაქტო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი,  
ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

თბილისი. Сатирико-юмористический журнал „Ниагаги“. Редакция: მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 8-10-49.

დელმოწ. დასაბ. 1952 წ. 24/XI. სტამბა „ზარია ვლიტოკა“, რუსთაველის პროსპ. № 42. შეკ. № 2936 გამოც. № 22. ტირ. 15.000. ფ. 16582.

## ვაჟიკას ლექსი

სამგორის ვერზე ღაეცა  
შატიდს ნასროდი ისარი,—  
მივერ ხევსური, ღავსახდი,  
ჩემი სამშობლოც ის არი.  
მე თვითონ სამი წეისა ვარ,  
სამგორი ორი წეის არი!

პირვედად ვნახე ვრცელი ზღვა  
ნაცვლად მთის ნიალვარისა,  
ერნათურებით შევცვალე  
შუქი მე ვარსკვლავ-მოვარისა.  
სახედ მიქვიან ვაჟივა,  
ვარ არაბუღის გვარისა!

გოგოთურ ზოგიაული

